GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *2020 / 09 Ekim / ოქტომბერი*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon / ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 716.9 | 4 763.5 | 5.1 % | 11.6 % | 3.8 % |

## Uluslararası Statüsü Olan Şirketlere Vergi Avantajları
## საგადასახადო შეღავათები საერთაშორისო სტატუსის მქონე კომპანიებისთვის

Gürcistan Başbakanı Giorgi Gakharia hükümet toplantısında iş dünyası için yaratılan yeni destek mekanizmalardan bahsetti. Başbakanın belirttiği gibi vergi kanununda, uluslararası statüsü olan şirketler için önemli ölçüde vergi avantajları sağlayacak değişiklikler yapıldı. Bahsedilen şirketleri için Kar ve Gelir vergi oranları %5'e kadar indirildi.

Başbakana göre bu mekanizmalardan denizcilik ve BT sektörde faaliyet gösteren şirketler yararlanacaklar. Uluslararası statüsü kazanabilmek ve faaliyetlere ilişkin ek ayrıntıları Gürcistan Yasama Habercisi tarafından yayınlanmış Hükümetin №619 Karardan inceleyebilirsiniz: https://bit.ly/2GEHIDU

Gakharia'nın belirttiği gibi, salgın sonrası ekonomik toparlama döneminde, küresel rekabetçilik son derecede ağır olacak. Bahsi geçen değişiklik Gürcü şirketlerine uluslararası statüsü kazanma, uluslararası şirketlere ise Gürcistan'dan rahat bir çalışma platformun oluşturma fırsatı veriyor.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის სხდომის დროს ბიზნესის მხარდაჭერის ახალ მექანიზმებზე ისაუბრა. მისი განცხადებით 2019 წელს საგადასახადო კოდებში მოხდა ცვლილებების შეტანა, რის საშუალებითაც საერთაშორისო სტატუსის მატარებელ კომპანიებს დაუწესდებათ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადი შეუმცირდებათ 5%-მდე.

პრემიერის აღნიშვნით აღნიშნული მექანიზმებით საზღვაო ბიზნესთან დაკავშირებული კომპანიები და ასევე IT კომპანიები ისარგებლებენ. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მოპოვებასა და საქმიანობებთან დაკავშირებულ დამატებით დეტალებს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნებული მთავრობის №619 დადგენილების საშუალებით შეგიძლიათ გაეცნოთ: https://bit.ly/2GEHIDU

გახარიას განცხადებით პანდემიის შემდგომ, ეკონომიკური აღდგენის პერიოდში, გლობალური ეკონომიკური კონკურენცია იქნება უაღრესად მძაფრი. აღნიშნული ცვლილება კი ქართულ კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, მიენიჭოთ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი და ამავდროულად საერთაშორისო კომპანიებს უქმნის კომფორტულ პლატფორმას იმისთვის, რომ იმუშაონ საქართველოდან.

AK YIL ZEMIN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

## Turizm Endüstrisi İçin Yeni Teşvikler
## ახალი შეღავათები სასტუმრო ინდუსტრიისთვის

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava, Gürcistan'ın önde gelen bankalarının üst düzey yöneticileri ile online toplantısı gerçekleştirdi. Toplantıda turizm sektörü temsilcileri ve küçük oteller için kredilerin yeniden yapılandırılma olasılığı tartışıldı. Bu bağlamda, banka temsilciler hazır olduklarını ifade ettiler.

Bunun yanı sıra Bakanın açıkladığı gibi, "Gürcistan'da Üret" programı çerçevesinde mevcut teşviklerin geliştirilme karar verildi. Ajans, teşvikten yararlanan şirketlere bankadan alınmış işletme kredisinin faiz oranının neredeyse tamamını 2 yıl yerine, 3 yıl boyunca karşılayacak.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ქ-ნ ნათია თურნავამ, ონლაინ შეხვედრა გამართა საქართველოს წამყვანი ბანკების მაღალი რანგის მენეჯერებთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მოხდეს სესხების რესტრუქტურიზაცია ტურიზმის სექტორის წარმომადგენლებისა და მცირე სასტუმროებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ბანკებმა მზადყოფნა გამოთქვეს თითოეული კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით განიხილონ სესხების რესტრუქტურიზაცია.

მინისტრის განცხადებით ასევე გადაწყდა მომხდარიყო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში არსებული შეღავათების გაზრდა და შედეგად ბიზნესის მეტი სტიმულირება. სააგენტო 2-ის ნაცვლად 3 წლის განმავლობაში, თითქმის სრულად დაუფარავს ბიზნეს კომპანიებს ბანკიდან აღებული ბიზნეს სესხის საპროცენტო განაკვეთს.

## Yasa Değişikliği
## საკონონმდებლო ცვლილება

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkındaki makale her iki dilde “Nodia, Urumashvili & Partners” şirket tarafından hazırlanmıştır. GÜRTİAD, “Nodia, Urumashvili & Partners” şirketine işbirliği içi şükranları sunuyor.

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

29 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების პაკეტი.

ცვლილების თანახმად, ფართოვდება დისკრიმინაციის ცნება და მისი აკრძალვის ფარგლები. გათვალისწინებულია, რომ შრომის ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი დაექვემდებაროს დამატებით რეგულირებას, კერძოდ, ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა შეიცავდეს ხელშეკრულების შეწყვეტის წესებს და გაფორმდეს წერილობით, თუ აღნიშნული დადებულია ერთ თვეზე მეტი ვადით. ცვლილებების მიხედვით, დასაქმებულ ორსულთათვის გამოიყოფა ანაზღაურებადი დრო სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად. ღამის სამუშაოზე დასაქმებულ პირებს უფლება ექნებათ დამსაქმებლის ხარჯით მოითხოვონ სამედიცინო შემოწმების ჩატარება.

მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის განხილვის ეტაპზე ჩანაწერი, მინიმალური ხელფასის შემოღების თაობაზე ამოღებულ იქნა, აგრეთვე ცვლილების საბოლოო პროექტში არ იქნა გათვალისწინებული ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოსათვის მინიმალურ ანაზღაურებად 125%-იანი განაკვეთის დადგენის შესახებ. პარლამენტის მიერ არ იქნა გაზიარებული ნორმირებული სამუშაო დროის 40 საათამდე შემცირების იდეა.

ცვლილების მიხედვით, საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე სახელმწიფო ზედამხედველობას უზრუნველყოფს სსიპ შრომის ინსპექცია.

ცვლილებების ნაწილის ამოქმედება გათვალისწინებულია 2021 წლის 1 იანვრიდან.

29 Eylül 2020 tarihinde, Gürcistan Parlamentosu tarafından “İş Kanununda” değişiklik paketi kabul edilmiştir.

Kanun tasarısına istinaden ayrımcılık kavramı ve yasaklama kapsamı genişletiyor. İş sözleşmesinin şekli ve içeriği ilave düzenlemelere tabi olacak. Örneğin, bir aydan fazla süreli sözleşmelerde sözleşmenin feshedilme kurallarını yazılı bir şekilde kapsamalı. Değişikliğe göre, hamile olan personele sağlık muayenelerin yaptırılması için zaman ayrılacaktır. Gece personel, işverenin masraflarıyla sağlık muayene isteyebilir.

Taslak kanun inceleme aşamasında asgari ücreti ile ilgili açıklama iptal edilmiş, ayrıca değişikliğin son projesinde mesai dışı çalışmak için minimum %125 oranla ödeneceği ücret göze alınmamıştır. Parlamento tarafından standart mesai saatinin 40 saate kadar azaltılması hakkında teklif kabul edilmemiştir.

Değişiklik kapsamında, İş Sağlığı ve Güvenliği Kanun mevzuatların uygulanmasına ilişkin devlet denetimi LEPL Çalışma Müfettişliği tarafından yapılacak.

Kanundaki değişiklik yürürlüğe 01 Ocak 2021 tarihinden girecektir.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

**Korona Virüs**

**კორონა ვირუსი**

Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının sayısı, virüs nedeniyle vefat eden kişilerin sayısı ile beraber artmayı devam ediyor. Sadece bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 3 132'ye ulaştı (ortalama: 447.4 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Acara bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 10 752'ye ulaştı. Can Kaybı – 72, iyileşenlerin sayısı – 5 866, aktif vaka ise – 4 606. Halihazırda hastanelerde 836 otellerde ise 1 338 kişi tedavi görüyor, 5 574 kişi ise karantinadadır. Son verilere göre ülke çapında 706 806 test yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 36.7 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 36 797 540, Can Kaybı – 1 067 530, iyileşen kişi sayısı – 27 694 342. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Rusya ve Kolombiya'da görülmüştür. Konu ile ilişkin diğer detaylar aşağıdaki tabloda bulunmaktadır.

ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა და ვირუსით გარდაცვლილი პაციენტების რაოდენობა ისევ იზრდება. მხოლოდ მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 3 132-ს უტოლდება (447,4 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ აჭარის რეგიონი გამოირჩევა.

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 10 752 შეადგინა. აქედან გარდაიცვალა 72, გამოჯანმრთელდა 5 866, ხოლო 4 606 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 836 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 1 338 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 5 574 ადამიანი. ქვეყნის მასშტაბით ჯამურად 706 806 ტესტი გაკეთდა.

კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 36.5 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 36 797 540 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 1 067 530, ხოლო გამოჯანმრთელდა 27 694 342 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, რუსეთსა და კოლუმბიას ჰყავს. საკითხთან დაკავშირებული დამატებითი მონაცემები ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეგიძლიათ იხილოთ.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

| Ülke<br>ქვეყანა | Toplam Vaka<br>დაავადებული | Can Kaybı<br>გარდაცვლილი | İyileşme<br>გამოჯანმრთელებული | Hasta<br>პაციენტი |
|---|---|---|---|---|
| ABD / აშშ | 7 833 763 | 217 738 | 5 025 193 | 2 590 832 |
| Hindistan/ ინდოეთი | 6 906 151 | 106 521 | 5 906 069 | 893 561 |
| Brezilya / ბრაზილია | 5 029 539 | 149 034 | 4 414 564 | 465 941 |
| Rusya / რუსეთი | 1 260 112 | 22 056 | 1 002 329 | 235 727 |
| Kolombiya/კოლუმბია | 886 179 | 27 331 | 777 658 | 81 190 |
| Ispanya / ესპანეთი | 884 381 | 32 688 | N/A | N/A |
| Arjantin/ არგენტინა | 856 369 | 22 710 | 684 844 | 148 815 |
| Peru / პერუ | 838 614 | 33 098 | 728 216 | 77 300 |
| Meksika / მექსიკა | 804 488 | 83 096 | 583 603 | 137 789 |
| Güney Afrika/სამხრეთ აფრიკა | 686 891 | 17 408 | 618 771 | 50 712 |
| | | | | |
| Türkiye / თურქეთი | 330 753 | 8 667 | 290 352 | 31 734 |
| Gürcistan / საქართველო | 10 752 | 72 | 5 866 | 4 606 |
| | | | | |
| Total (Dünya)<br>სულ (მსოფლიო) | 36 761 333 | 1 066 956 | 27 673 862 | 8 020 515 |

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.2233 TRY/GEL – 0.4070 EUR/GEL – 3.7919 GBP/GEL – 4.1616

USD/GEL

2 - 9 Ekim 2020

USD/TRY

2 - 9 Ekim 2020

TRY/GEL

2 – 9 Ekim 2020

ALTIN – 61, 325.33 kg/usd

2 – 9 Ekim 2020




AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası